



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080149784157820

№ 1862

22 / აპრილი / 2020 წ.

შპს „ლილეს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“;

ტენდერების ნომრები: SPA180001632 და SPA180003527;

შესყიდვის ობიექტი: 77200000 – სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „ლილე“ (ს/ნ: 434067430);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 26 თებერვალს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“ 2020 წლის 26 თებერვლის № 11/998 და № 11/999 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 2479 და № 2481), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ლილე“ (ს/ნ: 434067430) მიერ SPA180001632 და SPA180003527 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2018 წლის 6 მარტის № 23 და 2018 წლის 25 აპრილის № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე papuashvili_1@yahoo.com, 2020 წლის 28 თებერვლის № 754 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 8 თებერვალსა და 2 აპრილს სსიპ „ეროვნულმა სატყეო სააგენტომ“ გამოაცხადა SPA180001632 და SPA180003527 ელექტრონული ტენდერები ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV77210000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 27 თებერვლის №3 და 19 აპრილის №2 სხდომის ოქმებით, SPA180001632 და SPA180003527 ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ლილე“ (ს/ნ: 434067430) და ამავე სხდომის ოქმებით, იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 6 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა №23 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2018 წლის 10 ოქტომბრამდე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 91 272,1 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 დეკემბერი.

4.4. 2018 წლის 25 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა № 37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2018 წლის 10 ოქტომბრამდე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 38 585,11 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 დეკემბერი.

4.5. 2020 წლის 21 იანვრის №23-11 საბოლოო დასკვნის თანახმად, მიმწოდებელმა 2018 წლის 6 მარტის №23 ხელშეკრულების ფარგლებში დაამზადა 1 025 მ³ მერქნული რესურსი (ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასამზადებელი საორიენტაციო მოცულობა შეადგენდა 1 190,92 მ³-ს). ტყეკაფში მოსაჭრელი დარჩა №26 სოჭის ჯიშის 5,09 მ³ ხე-ტყე. ამავე დასკვნის თანახმად, 2018 წლის ოქტომბრის თვეში გამოვლინდა 3 ძირი წიწვოვანი ჯიშის სამასალე და სამეშე ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი. ამასთან, ტყეკაფი გაუნმენდავი იყო ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენებისგან.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2020 წლის 25 თებერვლის № 11/921 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, 2018 წლის 6 მარტის № 23 ხელშეკრულების ფარგლებში, 2018 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით, ნაცვლად 1 190,92 მ³ ხე-ტყის მასალისა, დაამზადა 1 025 მ³ ხე-ტყის მასალა. ამასთან, 2020 წლის 21 იანვრის მდგომარეობით, ტყეკაფი გაუნმენდავი იყო ნარჩენებისაგან, ხოლო მომსახურების განვების პროცესში დამატებით ორჯერ დაფიქსირდა ნარჩენებისაგან გაუნმენდავობა. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.7. 2020 წლის 21 იანვრის №37-5 საბოლოო დასკვნის თანახმად, მიმწოდებელმა 2018 წლის 25 აპრილის №37 ხელშეკრულების ფარგლებში დაამზადა 441,15 მ³ მერქნული რესურსი (ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასამზადებელი საორიენტაციო მოცულობა შეადგენდა 545,99 მ³-ს). ტყეკაფში მოსაჭრელი დარჩა წიფლის ჯიშის 90 მ³ ხე-ტყე. ამასთან, ტყეკაფი გაუნმენდავი იყო ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენებისგან.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2020 წლის 25 თებერვლის № 11/920 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, 2018 წლის 25 აპრილის № 37 ხელშეკრულების ფარგლებში, 2018 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით, ნაცვლად 545,99 მ³ ხე-ტყის მასალისა, დაამზადა 441,15 მ³ ხე-ტყის მასალა. ამასთან, 2020 წლის 21 იანვრის მდგომარეობით, ტყეკაფი გაუნმენდავი იყო ნარჩენებისაგან. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.9. № 23 ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 78 555,99 ლარის ღირებულების ვალდებულებები, ხოლო №37 ხელშეკრულების ფარგლებში – 31 176,06 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლილე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა

კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 6 მარტის №23 და 2018 წლის 25 აპრილის №37 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ლილე“ (ს/ნ: 434067430) 2020 წლის 15 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში SPA180001630 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 6 მარტის № 21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, მოცემული დარღვევებისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტის გათვალისწინებით, შპს „ლილე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ლილე“ (ს/ნ: 434067430) 2020 წლის 23 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის გავადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

